ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01193082904**
თარიღი: **04/11/2019**
პინი: **0955**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური“) განიხილა თქვენი 2019 წლის 11 ოქტომბრის #17-01192842813-18 წერილით (AR1709731; IV კლასი, სტამბა) გადმოგზავნილი, მოქალაქე ლევანი ზაალიშვილის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომლითაც განმცხადებელი ითხოვს შპს „ლთბ-ის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ქ. თბილისი, ანდრონიკაშვილის ქ. N29; ს.კ: 01.11.03.008.200; ფუნქციური ზონა: ს-1), მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის ეტაპზე, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას ტერიტორიაზე არსებულ მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით.

გაცნობებთ, რომ ვინაიდან საპროექტო არეალში მდებარე 1 ძირი იფანი (#7-D=26 სმ) არის 25 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე ნარგავი, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი“-ს მე-2 თავის 21-ე მუხლის საფუძველზე, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს 1 ძირი იფანის (#7-D=26 სმ) შესახებ შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია და წერილობითი დასტური იმ ფიზიკური ან იურიდიული პირისგან, რომელიც განახორციელებს გადარგვის სამუშაოებს და გააჩნია შესაბამისი სპეციტექნიკა.

შესაბამისად, სამსახური განიხილავს საკითხს მას შემდეგ, რაც განმცხადებელი წარმოადგენს მოთხოვნილ დოკუმენტაციას.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი